დადგენილება №46/2024 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ მისაღები მოთხოვნების კორექტირების შესახებ

დადგენილება № 46/2024
თარიღი: 26 დეკემბერი, 2024 წელი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის 2024 წლის 25 დეკემბრის №928 მოხსენებითი ბარათის (თან ერთვის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი #9, 23.12.2024 წ.) და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 დეკემბრის № 17 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ მისაღებ მოთხოვნებში ცვლილება თანდართული დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება გადაეგზავნოს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის შესაბამისი პროგრამისა და მიმართულების ხელმძღვანელს, სასწავლო დეპარტამენტს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს;
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი